

მშენებლობის მწარმოებელი 040651

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

მშენებლობა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და განვითარებადი დარგია, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა დანიშნულების სამოქალაქო, სატრანსპორტო, ჰიდროტექნიკური შენობა-ნაგებობათა დაპროექტების, გაანგარიშების, აგების და მათი საინჟინრო აღჭურვის საქმესთან. გამოირჩევა სპეციფიურობითა და თავისებურებით და განპირობებულია ისეთი პროფესიული ურთიერთობებით, რომელთა მიზანია ეკონომიკური სარგებელის მიღება და შემდგომი განვითარება თავისუფალი კონკურენციის პირობებში..

მისი ძირითადი მახასიათებლებია:

მიზანშეწონილობა – მშენებლობის ბიზნესის ნებისმიერ შიდა ელემენტისთვის მოგების მისაღებად რაციონალური მიმართულების შერჩევა. მთლიანობა – მშენებლობის ბიზნესის მიერ ეკონომიკის ყველა საჭირო სფეროს დაკავება იმ ზომით, როგორც სჭირდება მოგების მიღებას და შემდგომ განვითარებას.

წინააღმდეგობრიობა - მოქმედება დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონით (დაპირისპირება ბიზნესმენსა და დაქირავებულ მუშაკს შორის, ბიზნესმენსა და სახელმწიფო მუშაკს შორის, ბიზნესმენსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის, ბიზნესმენსა და მომხმარებელს შორის),

აქტიურობა – მშენებლობის ბიზნესის კავშირი ადამიანურ რესურსებთან, რომელიც ემყარება პრინციპებს: იხელმძღვანელებს კლიენტის ინტერესებით; იმუშავებს შენი ბიზნესისათვის და არა მასში; უზრუნველყავს კლიენტის კმაყოფილების გარანტია; იქონიეს ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ; ნუ შეუშინდები კონკურენტებს; შეადგინე ბიზნეს-გეგმა ფასის დაკლების მიხედვით; გეშინოდეს მისი აწევის; გასამრჯელოთი წახალისე ადამიანების ქცევა, რომელიც გინდათ განმეორებით იხილო; ბიზნესის ჩამოაყალიბე ფუნქციებიდან და არა ადამიანებიდან გამომდინარე; კომპანიის ფინანსური კეთილდღეობა და შენი პირადი წარმატებები ერთი და იგივე არ არის.

მშენებლობის მწარმოებლის პროფესია მოიცავს: მიწისზედა და მიწისქვეშა სამუშაოების წარმოებას ნორმალურ და ექსტრემალურ პირობებში; ყველა ტიპის შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციული ელემენტების აგებას; აგებმითი სამუშაოების შესრულებას; კონსტრუქციული ელემენტების სიმტკიცესა და მდგრადობაზე გაანგარიშებას და დაპროექტებას; მუშა ნახაზებისა და გამოთვლების კომპიუტერული პროგრამით შესრულებას; ძირითადი სამშენებლო პროცესების წარმართვისათვის საჭირო ბრიგადების დაკომპლექტებას და მათვას.

II. დასაქმების სფერო

მშენებლობის ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სამშენებლო ბიზნესის მაღალ კვალიფიციური მწარმოებელი, რომლის მოქმედების სფერო მოიცავს საწარმოო, საფინანსო, სავაჭრო (შემსყიდველ-გამყიდველი), ინოვაციურ, საკონსულტაციო, კომერციულ საშუაშაველო, გარიგებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობების წარმოებას. აღნიშნული კვალიფიკაციის სპეციალისტი მოთხოვნადი და აუცილებელია სამშენებლო ბიზნესის ნებისმიერი სახისა თუ ფორმისათვის, იქნება ეს წვრილი, მცირე, საშუალო თუ დიდი ბიზნესი, სახელმწიფო თუ კერძო.

ის შეიძლება დასაქმდეს სამშენებლო კომპანიებში და ფირმებში, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმოო დაწესებულებაში, რომლის საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასთან ან მის რეკონსტრუქცია-გადლიერებასთან. მათი სამსახურებრივი მდგომარეობა და მოქმედების არეალი შეიძლება განისაზღვროს დამწყები სპეციალისტიდან შემდგომი განვითარებით.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისა და მისი აღორძინების ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალური გზა სამშენებლო ბიზნესის განვითარებაა ყველა მიმართულებით. რაც არა მარტო დღეს, არამედ პერსპექტივაში იძლევა მშენებლობის მწარმოებლის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების დასაქმებისათვის ფრიად რეალურ მრავალფეროვან შესაძლებლობებს

III. დამატებითი მოთხოვნები:

- პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის პროგრამის ათვისება
- მეხუთე საფეხურზე დაიშვებიან მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირებიც.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მშენებლობის მწარმოებლის პროფესიული განათლება არის ორსაფეხურიანი და თითოეულ საფეხურისათვის დამუშავებულია შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამა. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მშენებლობის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მშენებლობის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

მშენებლობის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება მშენებლობის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. მშენებლობის მწარმოებლის კვალიფიკაციათა აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცის: ბიზნეს მათემატიკის საწყისი კურსი; კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები: შესავალი კურსი; საოფისე პროგრამები; ინტერნეტის გამოყენება; ელექტრონული ფოსტის გამოყენება;</p> <p>ბიზნესის საფუძვლები: ბიზნეს გარემო, ბიზნესის რესურსები და ფაქტორები; მეწარმეობის საფუძვლები. ორგანიზაციული კულტურა; ორგანიზაციის დაგეგმარება, სტრუქტურა და კომუნიკაცია; კარიერის მენეჯმენტი, ჯგუფთაშორის ურთიერთობები და კონფლიქტების მოგვარება;</p> <p>ბიზნეს-კომუნიკაციების საფუძვლები: კომუნიკაციური უნარ-ჩვევები; საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება; სამუშაოს ძებნის გზები - ტრადიციული და ალტერნატიული; კარიერის დაგეგმვისა და მისი განვითარების დროს სწორი გადაწყვეტილებების მიღება; იმ სამუშაოს დადგენა, რომელიც დაკავშირებული იქნება პერსონალური და პროფესიული უნარ-ჩვევების მაქსიმალურ რეალიზაციასთან.</p> <p>იცის ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების ტიპები; პროექტით გათვალისწინებული კონსტრუქციული ელემენტების თვისობრივი ხასიათისა და ზომების შედარება სამშენებლო მოედანზე არსებულთან. იცნობს მასალის, ნაკეთობისა და კონსტრუქციული ელემენტების ადგილზე გამოყენებისა და მათი დასაწყობების სპეციფიკას სამშენებლო მოედანზე;</p> <p>მარტივი ხელსაწყო-იარაღებით და მონაცემებით შეუძლია მოახდინოს გრუნტის დათვალიერება, წინასწარ განსაზღვროს სამშენებლო პროცესის ხანგრძლივობა და მუშათა საჭირო რაოდენობა.</p> <p>აცნობიერებს სამშენებლო ნორმების მონაცემების მნიშვნელობას და აქვს მათი დაცვისთვის აუცილებელი ცოდნა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>აქვს უნარი შეასრულოს ელემენტარული მათემატიკური გაანგარიშებები; განსაზღვროს და ააგოს სამშენებლო პროცესების დამახასიათებელი სპეციფიკური ფუნქციონალური დამოკიდებულებები; გაანალიზოს და გამოიყენოს შედეგები დანიშნულებისამებრ; მცირე მოცულობის სამუშაოების დასაგეგმად გამოიყენოს ბიზნესის საფუძვლებისა და მცირე ბიზნესის წარმოების პრინციპების ცოდნა; დაგეგმოს და განავითაროს საქმიანი ურთიერთობები სამშენებლო საწარმოო პროცესების სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე; ხელი შეუწყოს ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებასა და განვითარებას; განავითაროს კვალიფიციური ბიზნეს კომუნიკაციები პარტნიორებთან, კოლეგებთან და კონკურენტებთან; დაგეგმოს სამშენებლო საწარმოო პროცესში</p>

		<p>მონაწილე ადამიანური რესურსებისა და პერსონალური კარიერა და იზრუნოს განვითარებაზე; შექმნას ჩატარებული და სამომავლო სამუშაოების მონაცემთა ბაზა; გამოიყენოს რელევანტური ბაზების მონაცემები და იზრუნოს ინოვაციური მეთოდების ადაპტაციასა და დანერგვაზე; უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მისი მდგრადი განვითარების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით შეუძლია: საჭიროებისამებრ არეგულიროს სამშენებლო მოედანზე მიმდინარე სამუშაო პროცესი; გამოიყენოს მარტივი მათემატიკური გამოთვლების შედეგები და დაადგინოს სამირკველის ფორმა, მისი ფართობი და ჩაღრმავება; დაადგინოს კონსტრუქციული ელემენტების შესაბამისობა საპროექტო მონაცემებთან; საშენი მასალებისა და ნაკეთობების ხარისხის დამადასტურებელი საბუთების შედარება-შემოწმება. სამუშაო პროცესებში ჩართული ჯგუფის, ბრიგადის მართვა და უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე კონტროლი.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>აქვს უნარი: მშენებლობის ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და ზოგადი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროფესიული ანალიზისა და დასკვნების; პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიური აზროვნების; სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრისა და დასახვის; მშენებლობის ბიზნესის ბიზნესის განვითარებისათვის არსებული ზოგადი საჭიროებების, მათი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების განსაზღვრის; სამეწარმეო პროექტის შემუშავების პირობების განსაზღვრის, დაგეგმვისა და რეალიზაციის იდენტური სიტუაციების პირობით მოდელირებისას. შეუძლია ჩატარებული თეორიული გამოთვლების შედეგების საფუძველზე შეცვალოს სამშენებლო ნორმებით დასაშვები მასალის სიმტკიცის მახასიათებლები, დაასაბუთოს და გამოიტანოს დასკვნა და წარადგინოს მისეული ხედვა ანგარიშის ან ინფორმაციის სახით.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია: პროფესიული საქმიანობისას ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური კომუნიკაციის ფორმების გამოყენება, როგორც მშობლიურ ასევე ინგლისურ ენაზე; საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის სრულფასოვანი გამოყენება; ჯგუფური მუშაობის პრინციპების გამოყენება ეფექტურად მუშაობისათვის; პროფესიული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და გავრცელება. დამარწმუნებელი საქმიანი წერილების შედგენა; მშენებლობის პროცესის უწყვეტი წარმოებისთვის აუცილებელი საქმიანი ურთიერთობის წარმართვა.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p>	<p>აქვს უნარი: ახალი ინფორმაციის მოპოვების; მასალებისა და ტექნოლოგიების შესწავლის, გათავისების, გაზიარებისა და კრიტიკული ანალიზის; პროფესიული ბიზნეს ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოდიფიცირების. გამოყენების შემთხვევაში მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის კუთხით არგუმენტირებული დასაბუთების.</p>

<p>ღირებულებები</p>	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>	<p>აქვს: პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვის და დაცვის უნარი; საერთო საქმეზე პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი; პატივისცემის გრძნობა კოლეგებისა და პარტნიორების მოსაზრებებისადმი; დადებითი დამოკიდებულება უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მქონე გარემოს შესაქმნელად არსებულ ნორმებისადმი და იჩენს ინიციატივებს მათი დაცვის მიმართულებით; აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა პროფესიული საქმიანობისადმი.</p>
----------------------------	--	--

მშენებლობის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>იცის: მშენებლობის პროცესის სხვადასხვა ეტაპის განხორციელებისათვის საჭირო ბიზნეს მათემატიკის საკითხების ფართო სპექტრი. მათ შორის გაანგარიშების რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები; სამშენებლო ხაზვა; გეოდეზია; სამშენებლო მასალების სახეობები და მათი წარმოების პროცესი; სამშენებლო ტექნოლოგიური პროცესები; სამშენებლო მასალათა გამძლეობის საკითხები; საინჟინრო სამშენებლო მექანიკის სპეციალური საკითხები; სამშენებლო კონსტრუქციების ტიპები და მათი წარმოების, მონტაჟისა და ექსპლუატაციის პროცესი; სამშენებლო წარმოების პროცესში შრომის დაცვისა და მშენებლობის უსაფრთხოების ნორმები; თეორიული ანგარიშების საფუძველზე ქმნის კონსტრუქციული ელემენტების ესკიზებსა და ადარებს რეალურ შედეგებს. მშენებლობის ეკონომიკა; სამშენებლო წარმოების პროცესების ორგანიზაცია და მართვა; რესურსების, საქონლისა და სამომხმარებლო ბაზრები; მომხმარებლების მომსახურების ძირითადი პრინციპები; ბიზნეს-გარემოზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენების იდენტიფიცირება და შეფასება; მშენებლობის მენეჯმენტის ორგანიზების პრინციპები. მშენებლობის პროცესის დაგეგმვა; მშენებლობის ბიზნესისათვის დამახასიათებელი ძირითადი თეორიების, კონცეფციების, პრინციპების ცოდნა და მათი ძირითადი არსის გაცნობიერება დაგეგმვის პროცესში; რესურსების მდგარადი განვითარებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები. ადამიანური რესურსების მართვა (ადამიანური რესურსების მდგარადი განვითარებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები); ფინანსური მენეჯმენტი: რესურსების მდგარადი განვითარებისათვის სტრატეგიული ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები; საბუღალტრო აღრიცხვა (ბიზნეს ერთეულის საქმიანობაში აღრიცხვის ფუნქციისა და მნიშვნელობის ცოდნა და განხორციელება); აუდიტის პროცესები (ბიზნეს ერთეულის საქმიანობაში აუდიტის როლისა და ფუნქციის ცოდნა და პროცესის განხორციელება); ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალური პროგრამები: გამოყენებითი კომპიუტერული პროგრამები; ობიექტის მუშა ნახაზებისა და ესკიზების კომპიუტერული პროგრამით შესრულება; ელექტრონული კომერცია;</p>

		<p>აცნობიერებს: მშენებლობის წარმოების პროცესების მნიშვნელობასა და როლს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში; თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების როლს საქმიანობის წარმატებასთვის; მშენებლობის მწარმოებლის ფუნქციის მნიშვნელობას; მომხმარებლების მომსახურების ძირითად პრინციპებს, მათი და მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაცვის მნიშვნელობას; სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვის აუცილებლობას მშენებლობის ნებისმიერ ეტაპზე.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>აქვს უნარი: სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების იდენტიფიცირების:საჭიროების კრიტიკული ანალიზი, ხასიათისა და ტიპების დადგენა, ხარისხის განსაზღვრა, მოხმარების პირობების დადგენა. ასაშენებელი ობიექტების ტექნიკური მაჩვენებლების განსაზღვრა. ინოვაციური პროცესების გათვალისწინება;</p> <p>სამშენებლო ტექნოლოგიური პროცესების მართვის: კონკრეტულ ოპერაციებთან დაკავშირებული პრაქტიკული საქმიანობის დაგეგმვა და აღსრულება შესაბამისი პროცედურებისა და პრინციპების გამოყენების საფუძველზე; სამომხმარებლო ბაზრის განსაზღვრა; მომხმარებლის საჭიროებების შესწავლა; ფინანსური და სხვა სააღრიცხო ოპერაციების განხორციელების: მონაცემთა ბაზის შექმნა, დამუშავება; გასავალისა და ხარჯების ანალიზი; რელევანტური ფინანსური ბაზების გამოყენება;ექსპლუატაციის ფინანსური და ტექნიკური საშუალებების უსაფრთხო გარემოს შექმნისა და დაცვის:</p> <p>საფრთხეების დადგენა, სიტუაციური ანალიზი, უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის პირობების განსაზღვრა.შეუძლია მუშა ნახაზისა და ესკიზის მიხედვით კონსტრუქციების ადგილზე მონტაჟი; ნორმების ფარგლებში შეცვალოს კონსტრუქციული ელემენტის ზოგიერთი ზომა. იმოქმედოს ექსტრემალურ სიტუაციაში პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდებით.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>აქვს უნარი: მშენებლობის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროფესიული ანალიზისა და დასკვნების; პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიური დასკვნების გაკეთების; სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრისა და დასახვის; მატერიალური საჭიროებებისა და მათი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი რესურსების განსაზღვრის; სამეწარმეო პროექტის შემუშავების პირობების განსაზღვრის და სათანადო დასკვნის გამოტანის.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით.</p>	<p>აქვს უნარი: ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით პროფესიული კომუნიკაციის როგორც მშობლიურ ასევე ინგლისურ ენაზე; საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების; ჯგუფური მუშაობის პირობებში ეფექტური კომუნიკაციის; პროფესიული ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და გავრცელების.</p>

	იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	აქვს უნარი: ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების შესწავლის, გათავისების, გაზიარებისა და კრიტიკული ანალიზის; პროფესიული ბიზნეს ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოდიფიცირების, ცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების საჭიროების ანალიზის.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმების დაცვა და პატივისცემა; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება; საერთო საქმეზე პიროვნული პასუხისმგებლობა; კოლეგებისა და პარტნიორების პროფესიონალიზმის პატივისცემა; გარემოს დაცვა; სამშენებლო პროცესების უსაფრთხოების ნორმების დაცვა; პროფესიული საქმიანობისადმი ერთგულება.